

ახალი თაობა



akhaitaoba.ge

**პროკურორი
გუბუჩიშვილი: „ნანიკო
ბერიაშვილის სიკვდილის
ვიზუი ვისი გაგუღვა“**

**14 მაისიდან
ქართული
მითები**



გვ.7

„მე მიყვარს
კითხვა“

**ფასი
გაზთთან
ერთად
6 ლარი**



სამშაბათი, 14 მაისი, 2019

№112 (8066)

ფასი: 60 თეთრი

ნიკოლოზ მჭავანაცხაძის განადგურებით ემუქრებიან



გვ.2

„ივანიშვილი საქართველოს
წინააღმდეგ
მასრჩობელას იღებებს იყენებს“
„სააკაშვილი ხალხს ქუჩაში ტყვიებით
სოსავდა, „ოცნება“ შიშით კლავს“



„ქართულ ოცნებაში“
დიდი კასტიგნი დაიწყო



გვ.3

„არჩევნებზე ნაუსვლელობა
150 ლარი ღირს,
„ოცნებისთვის“
მიცემული ხმა — 200“

ლევან ხაბეიშვილი: „გახარია ზუგდიდში ოპერაცია სვავს ატარებს“



გვ.4



გვ.3

კაკაბა გაჩაჩიანი:
„ოცნება“ თავისი
დამარცხებით
ქართულ
დემოკრატიას
ხელს შეუწყობს“

მასწავლებელს
ანაზღურება
150 ლარით
და მეტით
გაეზრდება



გვ.5



გვ.4


სალომა
სამადაშვილი:
„ზუგდიდში
გამარჯვების
მოლოდინში ვართ“

„გაუგებარია, მაია მიმინოშვილმა როგორ
უნდა დაატრენინგოს პოლიტიკოსები?!“

სამართალი

გვ.7

ადვოკატი
ლოდარიაძე:
„სარალიძესა და
მარალიძეს
შორის კონფლიქტი
არ არის. ზაზა
თბილისიდან
დროებით წავიდა“



იულია სუსლიანის
მკაცრება,
რომ 10-ვე ბავშვი
ვისი შვილია,
სასამართლო
დაუშვებლად ცნო



9 წელი
მასწავლებელი
სისასტიკით
ჩადენილი
ჯანმრთელობის
დაზიანებისა და
ქურდობისთვის




ეკონომიკა


გვ.6



ლევან კაკაშვილი:
„ჩემი პირადი
აზრია, რომ
საბანკო
რეგულაციები
ნელ-ნელა უნდა
მოხსნათ“



GIG-ის
დამფუძნებელი
დავით
ბაქუაშვილი
„ჯეო
კონსიგალსს“
ყიდულობს



სამართლებლო
ენერგოსისტემას
დამატებით
3 მგვტ
ელექტროენერჯია
შეემატა



2 სააკაშვილი:
„თავისუფლების
მოვლანი
მეგანაშვილს
უნდა თავისთვის“

4 დავით ზალკალიანი:
„მასწავლებელს ვიყენებთ
ყველა შორებას, რათა
ქვეყანა მოვამზადოთ
ევროკავშირში ინტეგრაციის
მიზნის მიხედვით“

5 ნათია თურნავა:
„გაზს ყველა
ოჯახამდე
მივიყვანო“

7 სიღნაღში სტაჟინის
სანიანადგომო
რეკონსტრუქციის
კომპლექსური
სახსრ დასა



ლაშა პაპაშვილი: „ჩემი პირადი აზრია, რომ საბანკო რეგულაციები ნელ-ნელა უნდა მოვხსნათ“

– ვფიქრობ, საბანკო რეგულაციების ქვეშ ბევრი ისეთი ადამიანი მოხვდა, რომელთა დაკრედიტება ძალიან ადვილად შეიძლებოდა და მათი ვალაუჭვალობის საფრთხე არ არის, – განაცხადა ბიზნესმენმა ლაშა პაპაშვილმა „საქართველოს ბიზნეს-სოციალიზმი“ ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან გამართული შეხვედრის შემდეგ. შეხვედრა საბანკო რეგულაციებთან დაკავშირებით გაიმართა.

ბიზნესმენის თქმით, საბანკო რეგულაციების შერბილების საკითხით ყველაზე მეტად დაინტერესებულები დეველოპერული სფეროს წარმომადგენლები არიან, რადგან ესაა სექტორი, რომელზეც საბანკო ცვლილებები ყველაზე მეტად აისახა.

– მე არ ვფიქრობ, რომ დაგვიანებული იქნება რეგულაციების გადახედვა და ერთი ან ორი თვე ბევრ რამეს ვერ გადაწყვეტს. რა თქმა უნდა, ძალიან სასიხარულოა, რომ ამ საქმეში ეროვნულ ბანკს დიდი მზაობა გააჩნია ითანამშრომლოს ბიზნესთან. უპირაძე იქნება, რომ შემდეგი შეხვედრა მთელი ეკონომიკის სამინისტროს გუნდთან ერთად შედგეს, რადგან ამ სახის კომუნიკაციაზე ხშირად ვაკეთებ აქცენტს. რეგულაციების შესახებ ჩემი პირადი აზრია, რომ ნელ-ნელა უნდა მოვხსნათ და ამისთვის თანდათან ვხედავ მზაობას. ეს საკითხი უფრო დეველოპერებს ან უნებთ, ანუ



მათ, ვისი ბიზნესიც მცირდება. ვფიქრობ, საბანკო რეგულაციების ქვეშ ბევრი ისეთი ადამიანი მოხვდა, რომელთა დაკრედიტება ძალიან ადვილად შეიძლებოდა და მათი ვალაუჭვალობის საფრთხე არ არის, – განაცხადა ლაშა პაპაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში.

ბიზნესმენი ასევე გამოეხატა ეკონომიკის მინისტრის განცხადებას, ქართული ბიზნესის დაცვასთან დაკავშირებით. ნათია თურნავამ აღნიშნა, რომ სახელმწიფო და ეკონომიკის სამინისტრო დაიცავს ქართულ ბიზნესს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

– დიდი ხანია ნათიას ვიცნობ. მჯერა მისი განცხადებების და მგონია, რომ ეს არ იქნება ლიტონი სიტყვები. ამდენად ყველაფერი უნდა გააკეთოს სახელმწიფომ, რათა გააფართოვოს ისეთი პროგრამები, როგორებიცაა „ანარმეო საქართველოში“. არის ამ საკითხთან დაკავშირებით რაღაც ზედა ზღვარი და ეს ზედა ზღვარი უნდა მოიხსნას. აუცილებელია, რომ რაც შეიძლება მეტი საშუალება ჰქონდეს ბიზნესს, რომ ისეხსოს და სახელმწიფომ დაასუბრიდოს რაღაც პროცენტი მაინც. რაც შეეხება ქვეყნის ფარგლებს გარეთ ბიზნესის დაცვას, ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი რისი პროდუქტი და ხორცი ვერ გადის თურქეთში. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქვეყანა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრია, პრობლემები იქმნება. ისინი ამა თუ იმ ბერკეტებით ახერხებენ, რომ ხელი შეუშალონ ჩვენს ექსპორტს, ვფიქრობ, ეკონომიკის მინისტრი ამისგან დაცვას გულისხმობდა, – აღნიშნა ლაშა პაპაშვილმა.

GIG-ის დამფუძნებელი დავით ბეჟუაშვილი „ჯეო ჰოსპიტალსს“ ყიდულობს

„კომერსანტის“ ინფორმაციით, საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის (GIG) დამფუძნებელი დავით ბეჟუაშვილი კლინიკების ქსელ „ჯეო ჰოსპიტალსს“ ყიდულობს.



კომერსანტი ინფორმაციის გადამოწმების მიზნით ორივე მხარეს დაუკავშირდა. როგორც კომპანია GIG-ში განგვიცხადეს, ამ ეტაპზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს და რადგან პროცესები ჯერ არ დასრულებულა, ვაკრედიტებულ ინფორმაციას არც ადასტურებენ და არც უარყოფენ.

– ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობაა, რომელიც როგორც დასრულდება, ამ ეტაპზე საუბარი აღარაა. გადანაცვლები არაფერია, ამიტომ ინფორმაციას „ჯეო ჰოსპიტალსს“ შესყიდვასთან დაკავშირებით ვერც უარყოფთ და ვერც ვადასტურებთ, – აცხადებენ კომპანიაში.

თავად შპს „ჯეო ჰოსპიტალსს“ პასუხიც მსგავსია. „ჯეო ჰი აი ჰოლდინგს“ (სწორედ ამ კომპანიის შვილობილი კომპანიაა „ჯეო ჰოსპიტალსი“) კომუნიკაციების სამსახურის დირექტორის თინა სტამბულიშვილის თქმით, კლინიკების ქსელის მიმართ ინტერესი ნების განმავლობაში იყო და დღესაც ასეა:

– მოგესვენებათ, „ჯეო-ჰოსპიტალსი“ 2011 წლიდან გახდა „ჯეო ჰი აი ჰოლდინგს“ შვილობილი კომპანია და აერთიანებს 16 ჰოსპიტალს საქართველოს მასშტაბით. ამ სამედიცინო დაწესებულებების მიმართ ინტერესს წლების განმავლობაში არაერთი კომპანია იჩენდა და დღეს იჩენს.

კითხვაზე, რატომ დაინტერესდა ბიზნესმენი დავით ბეჟუაშვილი სამედიცინო მიმართულებით, პასუხი უცნობია. თუმცა ფაქტია, აქამდე საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი აღნიშნულ საქმიანობაში არ ოპერირებდა.

„ნეოგაზი“

შეგახსენებთ, რომ დავით ბეჟუაშვილი თეთრიწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი საპარლამენტო არჩევნებზე, 2008 და 2012 წელს – ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კოტიტ გახდა. გარდა ამისა, ის იყო დეპუტატი როგორც 1999 წლის მე-5 მოწვევის პარლამენტში, ისე 2004 წლის მე-6 მოწვევის პარლამენტში. მაშინ ბეჟუაშვილი პარლამენტარი საქართველოს მოქალაქეთა კავშირის კოტიტ გახდა.

რაც შეეხება კლინიკების ქსელ შპს „ჯეო ჰოსპიტალსს“, იგი 2011 წლის 22 აგვისტოს დაარსდა და სადაზღვევო კომპანია „ჯეო ჰი აი

ჰოლდინგის“ შვილობილი კომპანიაა. სამედიცინო დანესტრუქტურა საქართველოს 5 რეგიონშია წარმოდგენილი: ქვემო ქართლი, იმერეთი, მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი და კახეთი.

დღეს კლინიკის გენერალური დირექტორი სოფიო გასიტაშვილია, რომელიც 2011 წლიდან დღემდე არის სს „კურაციოს“ გენერალური დირექტორიც.

საქსტატის ინფორმაციით, 2016 წელს შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“, 20 ყველაზე მსხვილ დამსაქმებელი კომპანიების ჩამონათვალშიც მოხვდა.

აღსანიშნავია, რომ „ჯეო ჰოსპიტალსის“ რამდენიმე ჰოსპიტალი იმ 91 კლინიკის სიაშიც აღმოჩნდა, რომელიც ჯანდაცვის სამინისტრომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის პირობების დარღვევისთვის დააჯარიმა (2016, 2017, 2018 წწ.). ეს არის კლინიკების სია, რომლებმაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის პირობების დარღვევისთვის ბიუჯეტში 13 მილიონი ლარი უნდა დააბრუნონ.

და კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი, შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“ კლინიკების იმ ტოპ ხუთეულში შედის, რომლებმაც საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ყველაზე მეტი დაფინანსება მიიღო.

კომერსანტი

ივანე მაჭავარიანი: „2016 წლიდან 2018 წლის ბოლომდე მიმდინარე ხარჯები შეამცირა 26%-დან 23%-მდე და განაგრძობს შემცირებას“

– საქართველოს მთავრობამ, ეროვნულმა ბანკმა და საერთაშორისო სავალუტო ფონდმა წარმატებით დაასრულა მიმდინარე პროგრამის რიგითი მეოთხე მიმოხილვა. კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის დანაშაულები დღემდე, საქართველოს მთავრობა ადასტურებს და ერთგული რჩება იმ ძირითადი მიზნების მიმართ, რომელიც ჩვენს პარტნიორებთან ერთად დავისახეთ, – ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით“ მიმდინარე პროგრამის რიგითი მეოთხე მიმოხილვის დასრულებასთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მიმდინარე ხარჯების კონტროლი, კამპიტალური ხარჯების დაჩქარება და ფისკალური დეფიციტის ნორმალიზაცია – ეს ის მიზნებია, რაც ფინანსთა მინისტრის თქმით, საქართველოს მთავრობამ პარტნიორებთან ერთად დაისახა.

მაჭავარიანის განცხადებით, პროგრამის დასრულებამდე ერთი წელია დარჩენილი, თუმცა პრაქტიკულად, ყველა ეს მიზანია მიღწეულია.

– 2016 წლიდან 2018 წლის ბოლომდე მიმდინარე ხარჯები შემცირდა 26%-დან 23%-მდე და განაგრძობს შემცირებას. აბსო-

ლუტურ სიდიდით დაახლოებით, 1,2 მილიარდით არის შემცირება და სრულად ეხმიანება და უნისონში მოდის მთავრობის მიერ განცხადებულ მცირე მთავრობის კონცეფციასთან.

რაც შეეხება კამპიტალური ხარჯების დაჩქარებას, აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული გზა და ქვეშეთი-კობის მონაკვეთი, რაც ყველაზე მთავარი პროექტებია, ყველა ამ მიმართულებით მუშაობა დაწყებულია ან თუ არა, ტენდერები დასრულების ეტაპზეა. ეს კამპიტალური დახარჯებები სრულიად არის გაწერილი ფისკალურ ჩარჩოში. მათი დაფინანსება სრულად მოძიებულია და შეთანხმებულია საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან.

შემაგ – ეს იყო ფისკალური დეფიციტის ნორმალიზაცია, რაც წარჩუნდება მშპ-თან მიმართებაში 2,5%-ის დონეზე, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ საბიუჯეტო სექტორი რჩება და მომავალშიც იქნება მაკროეკონომიკური სტაბილურობის ერთ-ერთი მთავარი გარანტი.


ამ წლისთვის საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი არის 4,6%, რაც რეგიონში გამორჩეულად მაღალია და ადასტურებს რეფორმების ეფექტურობას და რეფორმების მიმართ ერთგულებას, რომლის გზაზეც საქართველოს ხელისუფლება დგას,



– განაცხადა ფინანსთა მინისტრმა. „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის“ მიმდინარე პროგრამის რიგითი მეოთხე მიმოხილვის დასრულებასთან დაკავშირებით სპეციალური ბრიფინგი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

საქართველოს ენერჯისტიკას დაემატა 3 გვამ ელექტროენერჯია შეემატა

სს „ენერჯო-პრო ჯორჯია გენერაციამ“ „ჩხოროწყუსის“ გენერატორი №1-ის რეაბილიტაცია დაასრულა. რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია



ჩაუტარდა ჰიდროაგრეგატის, შესაბამისად, 6 მგვტიანი ჰესის გამომუშავება, დადგმულ საპროექტო გამომუშავებას მასქიმალურად მიუახლოვდა.

მხოლოდ ამ პროექტში კომპანიამ 2.252.000 ლარის ინვესტიცია განახორციელა.

– 1967 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც ჰესი გაეშვა ექსპლუატაციაში, აგრეგატის ასეთი მასშტაბური და სრული რეაბილიტაცია არ მომხდარა. დამონტაჟდა თანამედროვე მართვის და მონიტორინგის სისტემა (SCADA), ასევე თანამედროვე სარელო დაცვები და გამოცვალა სხვა დეტალები და კვანძები, რომლებიც აუცილებელია, ჰიდროაგრეგატის გამართული და ეფექტური მუშაობისთვის, – განაცხადა სს „ენერჯო-პრო ჯორჯია გენერაციის“ ჰესების ექსპლუატაციის, დიაგნოსტიკის და პროექტირების დეპარტამენტის უფროსმა ლევან საჩაღელმა.

„ჩხოროწყუსის“ აგრეგატის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია 2017 წლიდან, 2 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ დროის განმავლობაში მუშაობდა ჰესზე არსებული მხოლოდ ერთი აგრეგატი, რომელიც დაახლოებით 2,6 მგვტი სიმძლავრეზე მუშაობდა. მეორე აგრეგატის რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ კი მოხერხდა გამომუშავებული ელექტროენერჯიის გაზრდა.

რომლითაც მოხდა გენერატორის სრული რეკონსტრუქცია, დაპროექტებულია ევროპაში, კერძოდ – სლოვენიაში, ტურბინების მწარმოებელ, „ენერჯო-პრო ჯორჯია“ შემავალ კომპანიაში „ლიტოსტროი ფაურ გრუპი (Litostroy Power Group). ნაწილები შემოვიტანეთ საქართველოში და გენერატორის აწყობა მოხდა ადგილზე, უცხოელი სპეციალისტების მიერ, – განაცხადა სს „ენერჯო-პრო ჯორჯია გენერაციის“ გენერალური დირექტორის მოადგილემ დიან დიმოვიმ.

„ჩხოროწყუსის“ საშუალო დაწვევის მქონე მცირე ჰესია. მდებარეობს დაბა ჩხოროწყუში. ჰესი აგებულია მდინარე ხობისწყალზე. ექსპლუატაციაში გაეშვა 1967 წელს. მისი საპროექტო დადგმული სიმძლავრეა 6 მგვტი.

GBC

რატომ მივიღა ბოროტად დასჯის პირას

საქართველოში ფეხბურთი უყვართ. ძალიან უყვართ... თუმცა, სიყვარულის სხვადასხვაგვარი ფორმა არსებობს - ზოგს ფეხბურთი იმიტირებს, რომ მსოფლიოს ნომერ პირველი საორტის სახეობაა, წინასწარგუთვლილი, არაპროგნოზირებადი შედეგებითა და ფინალებით. ზოგსაც იმიტირებს, რომ მსოფლიოს, თანაც სახელმწიფოსა და უფასო ხარჯზე...

თურმე სად ვართ - ჩანავამ ტორპედო კი იყიდა, მაგრამ ტურნირი ერთი თვით არ მიუტანია. სამაგიეროდ, სახელმწიფოსგან და უფასგან შესული 6 მილიონ ლარამდე თანხა გაქრა. ფაფუ, აღარ არის... საქართველოს ჩემპიონატისთვის კი ძალიან სიმპათიური ტორპედო დასჯის პირასაა. მიზეზი სახელმწიფოს დავალიანებაა, რომელიც გუნდს 3 თვეა არ აუღია.

მიიღო, ინვესტორიც ჰყოლია. გამოდის, ფინანსურად უფრო ნელგამართული უნდა ყოფილიყო. თუ ამას დაემატებოდა მფლობელის დახარჯულ თანხას, კიდევ უფრო მეტი გამოდის. თუმცა, სად არის მფლობელის დახარჯული თანხა? მეტიც, ჩანავა წლიურად 120.000 ლარს ხელფასის სახით იღებდა გუნდიდან. გამოდის, ფინანსები არა თუ მიიტანა, არამედ წაიღო.



იმედად, ახლა კი, მიაგლო და მიდის. თუმცა, სად წავიდა შემოსული თანხები, ამას მაინც ვერ გავიგებთ... ეს საქართველოა...

2017 წელს აუქციონზე ქუთაისის ტორპედო ბიზნესმენმა ზაალ ჩანავამ შეიძინა. ეს კარგი ფაქტი იყო. ჯერ ერთი იმიტირებს, რომ მივესალმებით გუნდების კერძო მფლობელობაში გადაცემას, რათა სახელმწიფო ფინანსების გადინება არ მოხდეს კლუბებში. მეორეც იმიტირებს, რომ კერძო მფლობელის იმის სურვილი მაინც უნდა გაუჩნდეს, რომ თუ ფულს დახარჯავს, ისეთი გუნდი მაინც უნდა გააკეთოს, რათა ხარჯი მაინც ამოიღოს.

როგორც ირკვევა, ტორპედოს საწვრთნელ ბაზაზე ფეხბურთელები გუნდის პრეზიდენტს შეხვდნენ, სადაც გუნდში არსებულ პრობლემებზე ისაუბრეს. ჩანავა გუნდს დავალიანების თვის ბოლომდე გადახდას დაპირდა. პრეზიდენტის განცხადებით, პრობლემები გუნდში ჩინელი ინვესტორების ნასვლამ გამოიწვია. ახლა, გარდა იმისა, რომ ტორპედომ სოლიდური ფინანსები სახელმწიფოსგან და უფასგან

ბათუმის დინამო კი პირველ ადგილზეა, მშვენივრად ატარებს სეზონს, ისეთი თამაშებიც კი „მოატრიადა“, რომელიც შეუძლებელი ჩანდა. გია გვერდიაძის ხელნაც იგრძნობა. მისი გუნდები კი ყოველთვის ამბიციური არიან. ასე რომ, გამოცდა დიდასაც სერიოზული ელის.

ბათუმის დინამო კი პირველ ადგილზეა, მშვენივრად ატარებს სეზონს, ისეთი თამაშებიც კი „მოატრიადა“, რომელიც შეუძლებელი ჩანდა. გია გვერდიაძის ხელნაც იგრძნობა. მისი გუნდები კი ყოველთვის ამბიციური არიან. ასე რომ, გამოცდა დიდასაც სერიოზული ელის.

ლიდერთა ჯახისა და დელაქაქური ღირის მოლოდინში

დღეს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მე-13 ტური იწყება. თანაც ცენტრალური მატჩით. წყალტუბოში ტორპედო საბურთალოს შემსპინძლებს.



ასაკით არის. ამ სპეციალისტმა რამდენჯერმე იხსნა მშობლიური გუნდი და კიდევ ერთხელ ცდილობს ამის გაკეთებას. კლასიკოსის მისვლის შემდეგ რუსთავეა 2 მატჩი მოიგო, ხოლო წინა ტურში საერთოდ სენსაციურად მოუგო საბურთალოს და სიტუაცია გამოიწვია. გამოკვეთილ აუტსაიდერად შერაცხული გუნდი ბრძოლაში დაბრუნდა. ჩიხურა კი თავის საქმეს უჭიმრდა აკეთებს. „დიდი ოთხეულის“ შემდეგ მყარად არის

მე-5 ადგილზე, თუმცა, არც ოთხეულია შორს... დილა-დინამო (ბთ) კოიხი. თენგიზ ბუჩანაძე ჩემპიონობისთვის მებრძოლ ბათუმის დინამოს სერიოზული გამოცდა ელის გორში. დილა ბოლო ხანებში კარგად ათამაშდა. თუმცა, ბოლო ტურში ბოლოშიმ დაუცდათ ფეხი.

ბათუმის დინამო კი პირველ ადგილზეა, მშვენივრად ატარებს სეზონს, ისეთი თამაშებიც კი „მოატრიადა“, რომელიც შეუძლებელი ჩანდა. გია გვერდიაძის ხელნაც იგრძნობა. მისი გუნდები კი ყოველთვის ამბიციური არიან. ასე რომ, გამოცდა დიდასაც სერიოზული ელის.

ლოკომოტივი რთულ მდგომარეობაშია და ქულები სჭირდება. არც დინამოს ულხინს ბოლო დროს - უკანასკნელ 4 ტურში მხოლოდ 1 მოიგო და ახლა მე-4 ადგილზეა. ლიდერ ბათუმის დინამოს 5 ქულით ჩამორჩება და კიდევ ერთი ფეხის დაცდენა საქმეს გაუართულებს.

ლოკომოტივი რთულ მდგომარეობაშია და ქულები სჭირდება. არც დინამოს ულხინს ბოლო დროს - უკანასკნელ 4 ტურში მხოლოდ 1 მოიგო და ახლა მე-4 ადგილზეა. ლიდერ ბათუმის დინამოს 5 ქულით ჩამორჩება და კიდევ ერთი ფეხის დაცდენა საქმეს გაუართულებს.

14 მაისი ტორპედო-საბურთალო

ტორპედოს სტადიონის რეკონსტრუქციის გამო ტურის ცენტრალური მატჩი წყალტუბოს განახლებულ არენაზე შედგება. ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდები სატურნირო ცხრილში ერთმანეთის გვერდებზე არიან. ერთია, საბურთალო ბოლო ტურებში არასტაბილურად გამოიყურება და 3 მატჩიდან 2 წაგო. უხელფასოდ მყოფი ტორპედო კი ქულებს აგროვებს და მის გამდიდრებას უშუალო კონკურენტთან ეცდება. სადღესოდ, საბურთალო ქულით არის მეტოქეზე წინ, თუმცა, არაა გამორიცხული, ამ მატჩის შემდეგ ადგილები გაცვალოს.

15 მაისი რიხურა-რუსთავე

რივი გუნდის ამოცანა ეროვნულ ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა. აქედან გამომდინარე, საინტერესო მატჩი უნდა გამოდგეს. ვეტერინარებმა ბოლო 3 მატჩი წააგეს და სიტუაცია გაირთულეს. სიონმა კი მიწვეწვლოვანი თამაშები მოიგო და საშობო ზონას ოდნავ მოსწყდა. ერთია, თუ უშუალო კონკურენტთან წააგებენ, სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბება.

Table with 3 columns: Rank, Team, Goals/Points. Includes teams like Dinamo, Saburtalo, and others.

Table with 3 columns: Rank, Team, Goals/Points. Includes teams like Gagra, Tsiklauri, and others.

Table with 3 columns: Rank, Team, Goals/Points. Includes teams like Zestoni, Saguramkhvili, and others.

ბათუმი საქართველოს ჩემპიონი

ბათუმმა დიდი 10-ის ფინალში რუსთავის ხარებს 3:1 სძლია და საქართველოს ჩემპიონი გახდა! ზღვისპირელებს აქამდე საქმიონო თასი ორჯერ ჰქონდათ შემართული. მაშინ ამ ქალაქის გუნდი დათვების სახელით გამოდიოდა და პირველი ტიტული 1999 წელს, ხოლო მეორე 17 წლის წინ, 2002 წელს მოიპოვა. რუსთავის გუნდი ფინალში 25 წლის შემდეგ დაბრუნდა. მათ 1993 წელს ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრეს, 1994 წელს ვერცხლის მედელებს დასჯერდნენ და ამჯერად მე-2 ადგილი დაიკავეს. ბათუმმა დიდი 10-ის რეგულარული სეზონი პირველ ადგილზე დაასრულა, ფლეი ოფის ეტაპს საუკეთესო ფორმაში შეხვდა და ხარებს, რომელთანაც სეზონში ორჯერ დამარცხდა, ორივე გადამწყვეტ მატჩში სოლიდური სხვაობით აჯობა. ფინალური დღე ბათუმის რაგბის სტადიონზე ნამდვილ ზეიმად იქცა. კარგი ამინდის პირობებში, სტადიონის ტრიბუნები პირთამდე შეივსო და ქომაგობაც სამაგალითო, გულიანი იყო. მასპინძლებმა მეტოქეს აგრესიული, ხისტი დაცვა დაუპირისპირეს, ხოლო როდესაც ბურთის მოიხელთებდნენ, სწრაფად და მრავალფეროვნად უტყვდნენ. გარდა ამისა, ბათუმი სრულ უპირატესობას ფლობდა შერეობაში და ამ ყველაფერმა საფინალის სასტუმარს ერთად, ლოკალურად გააძვირა მე-10 გვერდზე

შედეგები

Table of match results with columns for home team, away team, and score.

ქაბედიფოსკოპი

Table of head-to-head records between teams.



„ევროვიზია 2019“-ზე საქართველოს ოფიციალური ჟიურის ვინაობა ცნობილია



„ევროვიზია 2019“ თელ ავივში ოფიციალურად გაიხსნა. ნილელ ხალიჩაზე კონკურსის ყველა მონაწილემ თავისი ქვეყნის დელეგაციასთან ერთად გაიარა. საქართველოს წარმომადგენელმა ოთო ნემსაძემ ანსამბლ „შავნაბადას“ ბიჭებთან ნილელი ხალიჩა საქართველოს დროში ხელდასმევენებულმა განვლო.

ევროფესტივალის ოფიციალური გახსნის საზეიმო ცერემონილის წამყვანების შეკითხვებს ოთომ მხიარულად და ენერგიულად უპასუხა, დამსწრე საზოგადოების რამდენიმე წევრთან ფოტო გადაიღო და მთელს ევროპას განუცხადა, რომ ბრძოლისა და გამარჯვებისთვის საუკეთესო განწყობით არის მზად.

ევროვიზიის სიმღერის 2019 წლის კონკურსზე საქართველოს ოფიციალური ჟიურის ვინაობა ცნობილი გახდა. საერთაშორისო ჟიურის 200 წევრთან ერთად საქართველოს სახელით ქულებს ხატუნა კობერიძე, სოფო ტორიშვილი, მარიკო ლეჟავა, ბორის შხიანი და ლევან აბშილაძე დაწერენ.

ჟიურის წევრები კონკურსანტებს ოთხი ძირითადი ასპექტით აფასებენ: ვოკალი, პერფორმანსი, სიმღერა და ნომრის საერთო შთაბეჭდილება. ჟიურის თითოეული წევრი ყველა ქვეყანას აფასებს, გარდა საკუთარი ქვეყნისა.

სტატისტიკური მონაცემებით, 2019 წლის ევროვიზიის სიმღერის კონკურსის ყველაზე ახალგაზრდა 16 წლის ჟიურის წევრი მალტიდანაა, ხოლო ყველაზე ხანდაზმული 82 წლის ხორვატიდან. 205 წევრისგან შემდგარი ჟიურის საშუალო ასაკი 41 წელია. ევროვიზიის სიმღერის 2019 წლის კონკურსის მონაწილეებს 96 ქალი და 109 მამაკაცი შეაფასებს. ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე ჟიურის როლი 50%-იანია და ის ტელემაყურებლის სმებთან ერთად ჯამდება.

„ევროვიზია 2019“-ის ნახევარფინალები 14 და 16 მაისს გაიმართება, ფინალს კი ისრაელი 18 მაისს უმაჰსინძლებს.

„რანინას“ ნახევარფინალის ხუთეული დასახელდა

მუსიკალური შოუს „რანინას“ ნახევარფინალის ხუთეული დასახელდა. საბავშვო კონკურსის მეორე სეზონში მონაწილეობდა 10 საუკეთესო კონკურსანტი: გიორგი გორდაძე, ნიკა პეტრიაშვილი, ანასტასია გარსევანიშვილი, ბარბარე იმნაძე, ელენე ივანიძე, ლევან ელიძე, ქეთა ახალბედაშვილი, გიორგი როსტიაშვილი, თეკლა ჩაგანავა და ანა ბერიშვილი.

„რანინას“ მეორე ნახევარფინალში კი გავიდნენ ანა ბერიშვილი, გიორგი როსტიაშვილი, ნიკა პეტრიაშვილი, ანასტასია გარსევანიშვილი და ქეთა ახალბედაშვილი.

საქართველოს პირველი არხის მუსიკალური პროდიუსერის, ჟიურის წევრის დავით ეგვენისძის თქმით, იმ ბავშვებს, რომლებიც ნახევარფინალში ვერ გადავიდნენ, სათითაოდ დაუწერს სიმღერას და გააკეთებს კვინტეტს, რომ ბავშვებმა ერთად იმღერონ.

19 მაისს კი „რანინას“ ნახევარფინალი გაიმართება, სადაც გაირკვევა იმ სამი კონკურსანტის ვინაობა, რომლებიც ფინალში იმღერებენ.

„რანინას“ გამარჯვებული 2019 წლის საბავშვო ევროვიზიაზე საქართველოს წარადგენს.



მოზარდ მაყურებელთა თეატრში ათი ქალის გაშვილებულ ისტორიაზე გვიამბობენ

მოზარდ მაყურებელთა თეატრში ათი ქალის გაშვილებულ ისტორიაზე გვიამბობენ.

„თერთმეტი“ – ასე ეწოდება სპექტაკლს, რომელიც ღმერთის როლ-მორგებული საზოგადოებისთვის დაიდგა. სპექტაკლის პრემიერა 15 თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე გაიმართება.

ეს არის დამოუკიდებელი პროექტი და წარმოდგენა ათი ქალის გაშვილებულ ისტორიაზე, რომლებიც თავიანთი ამბებით ექცვიან საზოგადოების ყურადღების ცენტრში და, უმეტეს შემთხვევაში, ინვესტ აგრესიას.

პიესის ავტორმა და რეჟისორმა ეკატერინე კატო შარიქაძემ გადაწყვიტა, შეეგრძობინა ისტორიები და ერთ ამბად აკინძა. აქ არის ამბები, რომლებიც აშფოთებს, ადაგზნებს, აბოროტებს, შუაზე ხლენს საზოგადოებას.



ყველაზე ამბარზენ ამბავსაც კი გააჩნია საკუთარი სიმართლე, მეორე მხარე, გამართლება. სპექტაკლი ეძღვნება საზოგადოებას, რომელსაც ღმერთის როლი აქვს მორგებული და ადვილად გამოაქვს განაჩენი ადამიანებისთვის.

პიესის ავტორი და რეჟისორი ეკატერინე კატო შარიქაძე, ქორეოგრაფი ნიკოლოზ ნანიტაშვილი, მუსიკალური გაფორმება ალექსანდრა ლორთქიფანიძე, რეჟისორის ასისტენტი კი თამაზ ქარაული. სპექტაკლში გამოყენებულია კორპის მუსიკა.

სპექტაკლში მხოლოდ ქალი მსახიობები მონაწილეობენ ანუ ზამბახიძე, ნინო შუშიაშვილი, თამარ ჭანუყვაძე, სოფო ახუაშვილი, ნინო არჩაია, თამარ ლორთქიფანიძე, სოფო ვერაძე, მარიამ ხუბუნიანიშვილი, თამარ ცქვიტინიძე, სალომე ნურნუშია და ნინო კიკაჩიშვილი.

ქართული კინოს დღე ქარელში აღინიშნება

15 მაისი ქართული კინოს დღეა. 2005 წელს გამოიცა ქვეყნის პრეზიდენტის განკარგულება №588, რომლის ძალითაც ყოველი წლის 15 მაისი ქართული კინოს დღედ გამოცხადდა.

– რატომ მაინცდამაინც 15 მაისი და არა სხვა რომელიმე დღე? ამ კითხვით მივმართეთ კინოკრიტიკოს გოგი დოლიძეს, რომელმაც, საკუთარი აღიარებით, სამი ათეული წელი შეწირა ამ ინიციატივას: მხოლოდ იმიტომ, რომ სწორედ 15 მაისით, უფრო სწორედ, 1908 წლის 15 მაისით თარიღდება ის ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც ნახსენებია ჩვენი ეროვნული კინემატოგრაფის პიონერი, კინოოპერატორი ვასილ ამაშუკელი, ავტორი მსოფლიოში პირველი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმისა „ქართველი მგოსანის აკ. წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“.

გოგი დოლიძე: – არ ვიცი, რას აპირებენ ამ დღისათვის კულტურის სამინისტრო, საქართველოს კინოცენტრი თუ კინოსტუდია „ქართული ფილმი“, მაგრამ თქვენი მონაწილეობა აგრძელებს თავის ტრადიციას და ამჯერად, წარდგება ქარელის რაიონის სოფელ სალოლაშენის საჯარო სკოლის მოსწავლეების წინაშე, ისაუბრებს ქართული კინოს სახეობებზე და აჩვენებს მის მიერვე 40 წლის წინათ აღდგენილ პირველ ქართულ კომედია „ხანუშას“, რომლის რეჟისორია ალექსანდრე ნუნუნავა. ფილმში გადაღებული არიან იმდროინდელი ქართული თეატრისა და კინოს საუკეთესო წარმომადგენლები, მთავარ როლში კი ელისაბედ ჩერქეზიშვილი, რომელსაც სწორედ გადაღებისას შეუსრულდა 80 წელი.

გეტყვი თქვენს, რომ ჩემთან ერთად „ხანუშას“ აღდგენაზე იმუშავა კომპოზიტორმა ვაჟა აზარაშვილმა და მსახიობმა გოგი გეგეჭკორმა.

ზარემ ისიც ითქვას, რატომ ავირჩიეთ სადღესობად ქართლის სოფელი? ამით პატივს მივაგებთ ქართული თეატრის ლეგენდარული მსახიობის გიორგი არადელ-იშხნელის ხსოვნას, იგი ამ სოფლიდან იყო და მომავალი წლის თებერვალში 100 წელი სრულდება მისი ტრაგიკული აღსასრულიდან. ეს თარიღი კი ისეთი ღირსებით უნდა აღინიშნოს, როგორც ჩვენ გვეკადრება – მაღლიერ შთამომავლობას.



შპს-იდეისკომი

მამაკაცმა შეყვარებულს საკუთარი თეხისგან დაფარული ნიჟნოვის ბეჭედი აჩუქა

ქალმა სოციალურ ქსელებში გამოაქვეყნა ნიჟნოვის ბეჭედის ფოტოსურათი, რომელიც მისი საქმროს თმებისგანა დაფარული და ამით ინტერნეტ-მომხმარებლების უკმაყოფილება გამოიწვია.

– საოცარი პარასკევი! ჩემი ბოიფრენდი ჩემი საქმროს გავაძევა და საკუთარი თმებისგან დაფარული ბეჭედი მაჩუქა, – დაწერა საპატარძლომ, ფოტოსურათისთვის თანდართულ კომენტარში, – ეს ბეჭედი დროებითია, ის მანამდე მეკეთება, სანამ ჩემ თითს უფრო დახვეწილი ბეჭედი არ დაამუშვენებს.

უჩვეულო სამკაულის ფოტოსურათი ვირუსულად გავრავდა

სული გახდა სოციალურ ქსელებში და უამრავი კომენტარი მოაგროვა.

– შესაძლოა, მან მისი თმები აბაზანის კანალიზაციის მილიდან ამოიღო და შემდეგ თითზე დაიხვია? მან საერთოდ იცის, რომ ისინი დანიშნულები არიან? – დაწერა კომენტარში ერთ-ერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა.

– ბიჭო? როგორ ძლიერადაც არ უნდა მიყვარდეს ჩემი მამაკაცი, მის თმებს თითზე ბეჭედის სახით არასოდეს გავიკეთებ, – დაწერა მეორემ.

– რატომ? უბრალოდ რატომ? – გაოცება გამოხატა მესამემ.

მამაკაცმა კახა ხატიაშვილმა

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი თამარ სხირტლაძე 90 წლის იუბილეს ზეიმობს.

მართალია მსახიობს საიუბილეო თარიღი 2 მაისს შეუსრულდა, მაგრამ ეს სულაც არ უშლის ხელს მის მშობლიურ თეატრს, რომ იუბილარ მსახიობს 15 მაისს მარჯანიშვილის თეატრის დიდ სცენაზე შემოქმედებითი საღამო მოუწყოს.

თამარ სხირტლაძე მხოლოდ რამდენიმე წელი იყო რუსეთის თეატრში, დანარჩენი წლები სულ მარჯანიშვილის თეატრში მუშაობს. მისმა ოჯახმა ქართულ კულტურას მიუძღვნა თავი. მისი მეუღლე კონსტანტინე თოლორაია ასევე მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი იყო, ერთადერთი შვილი თაზო თოლორაია კი – კინომსახიობთა თეატრში მუშაობდა.

იუბილარი მსახიობის მიერ შექმნილი როლები დაუწინაურა მაყურებლისთვის. მისი თეატრალური თუ კინოროლები ქართული კულტურის გულშემატიკურებს გამოირჩეულად უყვართ. საკუთარ თავზე საუბარი არ უყვარს, მაგრამ ყოველთვის ამბობს, რომ ცხოვრებისეული ტკივილებისგან ისევ თეატრმა და საყვარელმა საქმემ განკურნა. სწორედ თეატრი დახმარა ერთადერთი შვილის, თაზოს, გარდაცვალების დროს ამ უდიდესი ტკივილისთვის გაქცევა.

მამაკაცმა კახა ხატიაშვილმა


პანტომიმის თეატრი 54 წლის გახდა

პანტომიმის სახელმწიფო თეატრი 54 წლის გახდა. საიუბილეო თარიღს თეატრი კვლავ პრობლემებით და შენობის გაგრეშვით ხვდება.

ამირან შალიკაშვილი უმცროსი: – სოს! 1965 წლის 13 მაისს დაარსდა შალიკაშვილის თეატრი. 54 წლის მანძილზე თეატრმა დიდი წარმატება მოიპოვა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. ამ წარმატებასთან ერთად მძიმე დღეები თუ წლები გადაიტანა. 54 წლის მანძილზე თეატრი სამჯერ დაიხურა. გამოიწვევდა დაწვეს მუშაობის ბაღში თეატრი, მაგრამ შალიკაშვილმა ამ ყველაფერს გაუძლო. მან კირა მეტუქესთან ერთად შექმნა სკოლა, თეატრი, საერთაშორისო ცენტრი და დღეს სახელმწიფო პანტომიმის თეატრი მათი დამსახურებით არსებობს.

სამწუხაროდ, 2018 წლის ნოემბერში გარდაიცვალა ამ თანხის ფუძემდებელი ამირან შალიკაშვილი. 2019 წლის იანვარში გარდაიცვალა კირა მეტუქე, მისი ცხოვრების თანამგზავრი და ამ უნიკალური თანხის, ქართული პანტომიმისა და შალიკაშვილის თეატრის დამაარსებელი. მათ პირველებმა გახსნეს პანტომიმის თეატრი და მათ პირველებმა გახსნეს მახათას პანთეონი. საქართველომ და თბილისის მერიამ ორი უდიდესი ხელოვანი პირველად მახათას მთაზე დაკრძალა, დიდი მადლობა ქვეყანას!

მაგრამ მათი დაფასება ის იქნება, რომ რაც შეიძლება მალე აშენდეს შალიკაშვილის სახელობის პანტომიმის საერთაშორისო ცენტრი.




ახალი თარბა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhaliaroba

ქართული ლარის მიხედვით უცხოური ვალუტების განვლილი კურსი

14 მაისისთვის	აშშ დოლარი — 2.7400	ევრო — 3.0770
	ინგლისური გირვანკა სტერლინგი — 3.5675	100 რუსული რუბლი — 4.2049



„ახალი თარბა“

წარმოგიდგენთ სერიას „**პე მიჰვარს კითხვა**“

14 მაისიდან

ქართული პითაბი

ფასი გაზაფხულთან ერთად 6 ლარი

3 მაისიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა ტომი III

ფასი გაზაფხულთან ერთად 12 ლარი

10 მაისიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა ტომი IV

ფასი გაზაფხულთან ერთად 12 ლარი

მეგან პარკლის ყოფილმა ქმარმა მილიონარზე იქორწინა

სასექსის პერცოვინა მეგან პარკლის ყოფილი მეუღლე სკანდალურად ცნობილი მილიონერის სტენფორდ კურლანდის ქალიშვილზე დაქორწინდა.

42 წლის ტრევერ ენგელსონის და 31 წლის ტრევისი კურლანდის ქორნილი კალიფორნიის შტატში მდებარე მდიდრულ საკურორტო კომპლექს Rosewood Miramar Beach-ში გაიმართა.

საქორნიო ცერემონიაზე ენგელსონს ვარდისფერი შარვალ-კოსტიუმი და თეთრი მაისური ეცვა, ხოლო პატარძალმა უპირატესობა ბრეტელეებიან მაქმანებთან თეთრ ზედატანსა და იგივე ფერის მაქმანებთან ქვედა ბოლოს მიანიჭა.

ტრევისი კურლანდი მულტიმილიონერ სტენფორდ კურლანდის მემკვიდრეა, რომელმაც ქონება 2008 წლის კრიზისის დროს დააგროვა.

მსოფლიოში ყველაზე მოღვიძლი ნივთები გამოვლინდა

პლატფორმა Lyst-მა, რომელიც მოდის ინდუსტრიაში მომხმარებელთა მოთხოვნების ანალიზითა დაკავებულია, ამ დროისთვის მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ნივთების სია დაასახელა.

ლიდერი აღმოჩნდა ბრიტანული ბრენდის ილენანდერ McQueen-ის ტყავის სქელძირიანი კედი. მეორე ადგილზე გავიდა იტალიური მოდის სახლის Prada-ს დეკორატიული ეკლებით დამზადებული აბადოკი. მესამე ადგილი კი ერგო ფრანგული მარკის ჟაკეტუმუს-ის მიერ გამოშვებულ პანანინა ხელის ჩანთა Le Chiquito-ს.

სიაში მეოთხე ადგილზეა Gucci-ს ლოგოტიპიანი ოქროსფერი ქაბარი. მესხუთეა ბენვის ქურთუკი Sandy Liang-ი, ხოლო მეექვსე ადგილი ერგო მოდის სახლ Fendi-ის ხელჩანთა baguette bag-ს.

შეადგინა თ.კობაღიშვილმა

იუმორი

ცოლი ქმარს ეუბნება:
— ძვირფასო, მოდი, ჩვენი სქესობრივი ცხოვრება გავამრავალფეროვნოთ.
— როგორ?
— მე ვითომ გოგონა ვარ გამოძახებით და აი, მოვედი...
— და სხვებიც რომ ვნახო, შეიძლება?
...
ერთი ქალი მეორეს ეუბნება:
— ჩემი პირველი ქმარი ისეთი მეოჯახე იყო, უკონფლიქტო, შინაური ძალიერით სულ გვერდით დამყვებოდა.
— და რა, გაიყარეთ?
— არა, აინყვიტა!
...
მამაკაცს ეკითხებიან:
— რა პროფესიის ხართ?
— ასტრონომი.
— შესანიშნავი პროფესიაა და დღისით რას აკეთებთ?
...
ცოლი ქმარს ეუბნება:
— ეეჰ, ნეტავ ჩემი ორმოცდაათი დამაბრუნებინა.
— ძვირფასო, კი მაგრამ, შენ ხომ მხოლოდ ოცდათექვსმეტის ხარ.
— რას გულისხმობ?
— წლებს, რა თქმა უნდა.
— მე კი კილოგრამებს.
...
კაცი ქალს ეკითხება:
— რატომ ეწვევი?
— საკუთარ თავში საქონელს ვკლავ!
...
ოფიციალტი მამაკაცს ეკითხება:
— ყავა? ჩაი?
— ყავა.
— ვერ გამოიცანით... ჩაი.
...
ქმარი ცოლს ეკითხება:
— სად გინდა, რომ ჩვენი ქორნილის წლისთავი აღვნიშნოთ?
— სადაც დიდი ხანია არ ვყოფილვარ.
— სამზარეულოში?
...
კაცი ექიმს მიმართავს:
— ექიმო, ბოლო დროს ძეხვისგან სიამოვნებას ვეღარ ვღებულობ.
— მომიტყვევ და რას აკეთებთ?
— მაპატიეთ, მაგრამ ვჭამ...
...
შეადგინა თ.კობაღიშვილმა

ვალვერდეს ბელს ესაანეთის თასის ფინალი გადაწყვეტს

ბარსელონას მთავარი მწვრთნელის ერნესტო ვალვერდეს ბედი ესაანეთის თასის ფინალის შემდეგ გადაწყდება. თუ ბარსელონა ვალენსიასთან დამარცხდა, მაშინ ვალვერდეს გაათავისუფლებენ, ხოლო თუ ბარსელონამ თასის მოგება შეძლო, სავარაუდოდ, ერნესტო ბარსელონაში დარჩება.

ლივერპულთან 0:4 ის შემდეგ ხშირი იყო საუბრები იმის შესახებ, რომ მომავალ სეზონში კატალონიურ გუნდს ახალი მწვრთნელი ეყოლებოდა, მაგრამ ჯერჯერობით ბარსელონას ხელმძღვანელობას გადაწყვეტილება არ მიუღია.

თვითონ ვალვერდემ განაცხადა, რომ ბარსელონაში დარჩენა სურს.

სალაპი: „წელს უბრალოდ არ გაგვიმართლა“

ლივერპულის ლიდერმა მოჰამედ სალაპმა განაცხადა რომ ლივერპული ჩემპიონობას იმსახურებდა, მათ უბრალოდ არ გაუმართლა, რომ ინგლისში მანჩესტერ სიტი თამაშობს, რომელმაც ბოლო 14 შეხვედრა ზედიზედ მოიგო პრემიერ ლიგაში.

სალაპის თქმით, ლივერპული ჩემპიონობისთვის მომავალ წელსაც იბრძობებს:

— სეზონი ძალიან მალალ დონეზე ჩავატარეთ, მაგრამ სიტემ ერთი ქულით გავგასწრო და შეიძლება ითქვას რომ არ გაგვიმართლა. სიტის ჩემპიონობას ვულოცავთ და მომავალ წელს აუცილებლად ვიბრძობებ ჩემპიონობისთვის.

სოლსკიარე: „კარგია, რომ სეზონი დასრულდა“

მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ოლე გუნარ სოლსკიარემ განაცხადა, რომ მისი გუნდისთვის კარგია ის ფაქტი, რომ სეზონი დასრულდა.

მანჩესტერმა ბოლო შეხვედრა საკუთარ მოედანზე კარდიფთან წააგო 0:2.

სოლსკიარის თქმით, ზაფხულში გუნდში სერიოზული ცვლილებები იქნება.

— მინდა ჩემს ფეხბურთელებს ვუთხრა, რომ მომავალ სეზონში მათ მსგავს თამაშს არავინ აპატიებს. სეზონის ბოლო საშინლად ჩავატარეთ და მიხარია, რომ ის დასრულდა. ზაფხულში ბევრი რამის შეცვლას ვაპირებ და ვნახოთ, ამას რა შედეგები მოყვება, — განაცხადა სოლსკიარემ.

ედენ აზარმა რეალში გადასვლა საბოლოოდ გადაწყვიტა

ჩელსის ბელგიელმა ნახევარმცველმა ედენ აზარმა თავის მომავალზე გადაწყვეტილება მიიღო და მას რეალში თამაში სურს.

ამის შესახებ აზართან დაახლოებულმა პირმა ისაუბრა, რადგან თვითონ ფეხბურთელს განცხადების გაკეთება არ სურს.

რეალი ამ ტრანსფერის შესახებ ოფიციალურად მაისის ბოლოს გამოაცხადებს და, სავარაუდოდ, მადრიდელები 100 მილიონ ევროს გადაიხდიან. აზარის რეალში გადასვლაზე დიდი ხანია მიმდინარეობს საუბრები, თუმცა აქამდე ეს მხოლოდ ჭორები იყო.

ემანუელ კეპი: „ოფილი მოედანზე მიხვალაბულივით არის“

არსენალის ლეგენდამ, ფრანგმა ემანუელ პეტომ თავის ყოფილ გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ არსენალს ცვლილებები სჭირდება.

პეტის აზრით, უნაი ემერი კარგი მწვრთნელია, მაგრამ მხოლოდ ის საქმეს ვერ გააკეთებს:

— მე ვუყურებ არსენალის ფეხბურთელებს და ისინი არ არიან მონოვების სიმაღლეზე. განსაკუთრებით ეს მესუტ ოზილს ეხება, რომელიც მოედანზე მიცვალებულს ჰგავს. ემერი კარგი სპეციალისტია, მაგრამ მას დახმარება სჭირდება. ვფიქრობ, არსენალში ცვლილებები აუცილებელია.

ხმოსვოხი ა

შეუღალა: 1. მდინარე ნიუ იორკში; 2. ჩინური ნავთობკომპანია; 3. კლდეში ნაკვეთი ქალაქი საქართველოში; 4. კომპანია პოკერში; 5. ნითელყურმწოვანი ვაზის ქართული ჯიში; 6. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 7. აეროპორტი თელ-ავივში; 8. კარლ მარქსის ფუნდამენტური თხზულება; 9. პოლიტიკური პარტია ისრაელში; 10. გულადი, ყოჩალი მამაკაცის ძველებური სახელწოდება; 11. ბრიტანეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 12. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში.

თარაზულად: 6. სამხრეთ აფრიკაში მოპოვებული მსოფლიოში ყველაზე დიდი ბრილიანტი; 7. ქართველი მოდელიორი; 8. ცირკის აკრობატთა დამცავი ქაბარი; 9. ქართული აგროსამრეწველო ფირმა; 10. თეთრყურმწოვანი ვაზის გერმანული ჯიში; 11. შტატი აშშ-ში; 12. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 13. გემის ავარიის შედეგად მიღებული ზარალის შემფასებელი ოფიციალური ექსპერტი; 14. უელსის ადმინისტრაციული ცენტრი; 15. ძველებური ცხენებზემშენი მრავალადგილიანი სამგზავრო-საფოსტო კარეტა; 16. დანესებულების, ორგანიზაციის შიკრიკი.

შეადგინა თ.კობაღიშვილმა